

სახაზინო სამსახურის

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს 2017 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი საღდოს შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2017 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 2 698 390.2 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 2 426 727.8 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 36 631.3 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 11 655.5 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების ზრდით 223 375.5 ათასი ლარი.

2017 წლის იანვარ-მარტში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (2 426 727.8 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (2 233 537.6 ათასი ლარი) 108.6%;

– გადასახადების პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 097 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული 2 274 272.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 108.5%;

მათ შორის:

„გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“ საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 856 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 902 396.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 105.4%-ია; მათ შორის:

„საშემოსავლო გადასახადის“ პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 650 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 643 211.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 99%;

„მოგების გადასახადის“ სახით მიღებული შემოსავლების მოცულობამ (259 184.8 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (206 000.0 ათასი ლარი) 125.8%;

გადასახადებმა ქონებაზე შეადგინა 0.7 ათასი ლარი.

– პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საქონელსა და მომსახურებაზე“ შეადგინა 1 140 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1 291 900.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 113.3%-ია; მათ შორის:

„დამატებული ღირებულების გადასახადის“ პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 798 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 960 794.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 120.4%;

„აქციზის“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 331 105.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (342 000.0 ათასი ლარი) 96.8%-ია;

– პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე“ (იმპორტის გადასახადი) შეადგინა 19 000.0

ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 18 265.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 96.1%-ია.

„სხვა გადასახადების“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა იანვარ-მარტში შეადგინა 61 708.8 ათასი ლარი.

სახაზინო კოდების სისტემის რეფორმის ფარგლებში, 2016 წლის პირველი იანვრიდან ყველა გადასახადის სახაზინო კოდი გაუქმდა და ამოქმედდა გადასახადის ერთიანი სახაზინო კოდი; შედეგად გადასახადების მობილიზება ხდება აღნიშნულ ერთიან სახაზინო კოდზე და შემდგომში გადასახადი სახეების მიხედვით ნაწილდება ფაქტიურად დეკლარირებულ ვალდებულებებზე, ქრონოლოგიური წესით, კუთვნილი სავადო თარიღის მიხედვით.

გრანტების პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 66 562.6 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული 87 912.7 ათასი ლარი (რაც გეგმის 132.1%-ია); მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული 23 675.1 ათასი ლარი;

– საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 33 063.6 ათასი ლარი;

– „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 თავის, 34-ე მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშზე განთავსებული თავისუფალი ნაშთის ნაწილი – 13 420.9 ათასი ლარი მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტში;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 2 584.9 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში;

– „სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის #419 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 15 168.3 ათასი ლარი.

„სხვა შემოსავლების“ პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 69 975.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 64 543.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 92.2%. მ.შ. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებული ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა 700.0 ათასი ლარი, რომელიც ბიუჯეტში აისახა ზემოთ მითითებული ბრძანების შესაბამისად.

2017 წლის იანვარ-მარტში „არაფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ (36 631.3 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (17 500.0 ათასი ლარი) 209.3%;

მათ შორის:

- შემოსულობებმა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან (15 611.5 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (5 000.0 ათასი ლარი) 312.2%;
- არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მიღებულმა შემოსულობებმა (21 019.9 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (12 500.0 ათასი ლარი) 168.2%; მათ შორის:

მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 500.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 979.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 196%;

რადიოსიხშირული სპექტრით ლიცენზიის სარგებლობით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 20 027.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (12 000.0 ათასი ლარი) 166.9%.

„ფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 11 655.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მოცულობის (12 000.0 ათასი ლარი) 97.1%-ია.

„ვალდებულებების ზრდით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 223 375.5 ათასი ლარი (რაც საპროგნოზო მოცულობის – 274 613.4 ათასი ლარის 81.3%-ია);

მათ შორის:

- საშინაო ვალდებულებების ზრდით (შემოსულობები ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა) ფაქტიურად მიღებული იქნა – 88 856.3 ათასი ლარი;
- საგარეო ვალდებულებების ზრდით მიღებული იქნა – 134 519.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მოცულობის (189 620.9 ათასი ლარი) 70.9%-ია;
- მათ შორის:

- ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 76 721.2 ათასი ლარი;

- სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 57 797.9 ათასი ლარი.

ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოთიშა კრედიტების და გრანტების თანხები 98 836.3 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებლების მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად, ხდება კონვერტირება და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვის გზით ბიუჯეტის შემოსულობებში მიმართვა.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული

მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის #835 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2017 წლის იანვარ-მარტში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსულობებში, ასევე გადასახდელებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები, სულ 1 133.2 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2017 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 704 146.0 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 703 544.6 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად – 601.4 ათასი ლარი; მათ შორის:

- „დაცული ტერიტორიების განვითარება (გრანტი)“ – 208.3 ათასი ლარი;
- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია (კრედიტი)“ – 393.1 ათასი ლარი.

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2017 წლის 1 აპრილისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 929 143.4 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 928 317.6 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) – 825.8 ათასი ლარი.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-მუხლის, მე-8 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის #176-ე განკარგულების და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-მუხლის, მე-7 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის #29-ე განკარგულების თანახმად, სულ 135 002.0 ათასი ლარი, სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრებიდან განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (დაგროვება) შეადგინა 224 997.4 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2017 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 2 426 727.8 ათასი ლარის მოცულობით (პირველი კვარტლის გეგმა 2 233 537.6 ათასი ლარი); ხარჯებმა შეადგინა 2 071 274.2 ათასი ლარი (პირველი კვარტლის გეგმა 2 294 718.5 ათასი ლარი); საოპერაციო სალდომ შეადგინა 355 453.7 ათასი ლარი, პირველი კვარტლის გეგმა -61 180.9 ათასი ლარი (უარყოფითი); არაფინანსური აქტივების ცვლილების შესრულებამ შეადგინა

83 730.5 ათასი ლარი. მათ შორის: შესრულებამ არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შეადგინა 36 631.3 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდით - 120 361.8 ათასი ლარი.

2017 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანმა სალდომ შეადგინა 271 723.2 ათასი ლარი, პირველი კვარტლის გეგმა -193 329.1 ათასი ლარი(უარყოფითი).

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2017 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2016 წლის 30 დეკემბრის #348 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2017 წლის პირველი კვარტლის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 2 767 384.0 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები - 2 544 200.5 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები 223 183.5 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ვალდებულებები რეგისტრირებულია 2 528 088.4 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 2 473 392.7 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა - 2 303 311.7 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა - 170 081.0 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 97.8%, ხოლო გეგმის 89.4%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2017 წლის იანვარ-მარტის მთლიან ხარჯებში შეადგინა 93.1%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 6.9%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის #738 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა იანვარ-მარტში ხორციელდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის მიხედვით.

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2017 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 348 688.6 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა

ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 343 599.7 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 335 481.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 97.6%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 96.2%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2017 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრული იყო 289 332.5 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 239 262.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 222 092.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 92.8%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 76.8%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2017 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 122 647.1 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 119 726.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 119 726.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 97.6% და ვალდებულების 100%-ს შეადგენს. მათ შორის:

- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 82 347.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (82 347.0 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;
- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 37 379.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (37 379.8 ათასი ლარი) 100%-ია.

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2017 წლის პირველი კვარტლის გეგმამ შეადგინა 170 811.9 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 115 503.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 114 597.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.2%-ს და გეგმის 67.1%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან შეღავათიანი აგროკრედიტების დასაფინანსებლად 2017 წლის პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 12 500.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 12 500.0 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების (12 500.0 ათასი ლარი) 100-ია%.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2017 წლის პირველი კვარტლის გეგმამ შეადგინა 275 107.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 230 944.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (234 747.4 ათასი ლარი) 98.4% და საგეგმო მაჩვენებლის 83.9%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2017 წლის იანვარ-მარტში ავტონომიური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს ტრანსფერების სახით გადაერიცხათ 179 657.9 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (182 594.4 ათასი ლარი) 98.4%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2017 წლის იანვარ-მარტში მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 807 196.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (807 952.9 ათასი ლარი) 99.9% და საგეგმო პარამეტრის (809 468.5 ათასი ლარი) 99.7%-ია.

აღნიშნული მუხლიდან მოსახლეობის სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად 2017 წლის პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 592 669.1 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 592 610.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ია. მათ შორის: საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 418 155.0 ათასი ლარი, რაც

ვალდებულების (418 157.0 ათასი ლარი) 100% და გეგმის (418 157.9 ათასი ლარი) 100%–ია; მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებების ხარჯების დასაფინანსებლად პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 160 724.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 160 688.7 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების (160 719.7 ათასი ლარი) 99.98%–ია; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 202 649.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 202 596.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.98% და ვალდებულების (202 676.4 ათასი ლარი) 99.96%–ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2017 წლის პირველი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 278 661.9 ათასი ლარით, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 264 013.3 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 241 235.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 91.4%–ს და გეგმის 86.6%–ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაფინანსებლად პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 143 731.1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 143 572.6 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების (143 731.1 ათასი ლარი) 99.9%–ია.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2017 წლის პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 149 648.1 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ 121 511.3 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 120 361.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.1%–ს და გეგმის 80.4%–ს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 70 820.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 70 633.4 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (70 633.4 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 100% და საგეგმო მაჩვენებლის – 99.7%.

„ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2017 წლის პირველი კვარტლის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 172 756.4 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 138 297.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 138 292.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100%–ს და გეგმის – 80.1%–ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 7 500.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 7 500.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და გეგმის 100%–ს შეადგენს.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2017 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრული იყო 150 261.0 ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 143 473.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 143 464.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100%–ს და გეგმის 95.5%–ს შეადგენს. მათ შორის:

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 119 028.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (119 028.2 ათასი ლარი) 100%-ია;
- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 24 435.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (24 445.2 ათასი ლარი) 100%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ, რომელთა ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, მ.შ. ინფორმაცია თანხების შესახებ, რომელთა ათვისება პროექტის განმახორციელებლების მიერ ხდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა, მომავალში მისაღები (ოვერდრაფტის) გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე შეადგინა 6 107.9 ათასი ლარი. მათ შორის:

- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის პროექტი (JICA)“ – 6 057.8 ათასი ლარი;
- „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში“ – 50.1 ათასი ლარი.

„სახაზინო სამსახურის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციების სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯების ანგარიშის გახსნისა და კორპორაციული ბარათების დამზადების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 15 თებერვლის #92 ბრძანების თანახმად, საქართველოს ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის კორპორაციულ საბარათე ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა 2017 წლის პირველი აპრილისთვის შეადგინა 214.3 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახულია შესაბამისი უწყებების საკასო ხარჯებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2017 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 2 191 636.0 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 406 119.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (520 314.8 ათასი ლარი) 78%-ია. აღნიშნულ ხარჯებში აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 75 277.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (90 637.3 ათასი ლარი) 83% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 18.5%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 119 677.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (122 597.6 ათასი ლარი) 97.6% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 29.5%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2017 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 178 233.4 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 138 834.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 77.9%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის (2 191 636.0 ათასი ლარი) 6.3%.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2017 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრული იყო 247 047.9 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 229 309.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 92.8%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.5%; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 128 091.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (134 432.2 ათასი ლარი) 95.3%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (25 265.2 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (27 925.0 ათასი ლარი) 90.5%; სასჯელადსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 29 800.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (30 288.0 ათასი ლარი) 98.4%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2017 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 207 097.9 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 200 606.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96.9%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (8 077.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (9 352.3 ათასი ლარი) 86.4%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (32 075.1 ათასი ლარი), გეგმის (32 979.5 ათასი ლარი) 97.3% შეადგინა; ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 122 928.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 122 902.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 100%.

გარემოს დაცვის ხაზით 2017 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 14 582.2 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 18 563.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 127.3%.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით 2017 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 6 301.7 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 4 362.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 69.2%. მათ შორის, წყალმომარაგების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 2 111.6 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 1 129.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 53.5%-ია.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2017 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრული იყო 251 058.7 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 245 811.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97.9%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 11.2%; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 175 371.7 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (175 247.2 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 99.9%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (35 337.1 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (33 602.0 ათასი ლარი) 105.2%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის

მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 15 478.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (17 296.9 ათასი ლარი) 89.5%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 58 371.7 ათასი ლარით, რაც 2017 წლის პირველი კვარტლის გეგმიური მაჩვენებლის (72 104.8 ათასი ლარი) 80.9%-ს შეადგენს. ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 14 273.8 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (11 345.2 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 79.5%.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 301 112.6 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 254 637.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 84.6% და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 11.6%; აღნიშნულ ხარჯებში ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა – 144 408.8 ათასი ლარი, რომელიც გეგმის (146 877.4 ათასი ლარი) 98.3%-ია; უმაღლესი განათლების დაფინანსებამ – 27 974.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (42 295.9 ათასი ლარი) 66.1%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრული იყო 646 512.6 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 635 020.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98.2%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 29%. ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 425 161.5 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 425 148.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 100%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 164 087.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (164 145.1 ათასი ლარი) 100%-ია.

საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ოცდათვრამეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 1 239.0 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 552.9 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2017 წლის 1 აპრილის მდგომარეობით შეადგინა 686.1 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ათ შემთხვევაში შეადგინა სულ 3 126.5 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 3 008.8 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2017 წლის 1 აპრილისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 117.7 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ერთ შემთხვევაში შეადგინა სულ 3 000.0 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 1 122.5 ათასი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2017 წლის 1 აპრილისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 1 877.5 ათასი ლარი.

წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა წლებში წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებების დასაფარად „ვალდებულებების კლების“ მუხლით გამოყოფილი იქნა 41 181.0 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 41 979.8 ათასი ლარი. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად განისაზღვრა 10 352.2 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 10 306.8 ათასი ლარი, (მათ შორის, „საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა - 10 300.0 ათასი ლარი).

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 28 000.0 ათასი ლარი. აქედან, ვალდებულებების კლების მუხლით: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოეყო 26 705.5 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 26 705.5 ათასი ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანების დასაფარად საინკასო დავალებით ჩამოჭრილი თანხების ასანაზღაურებლად გეგმამ შეადგინა 2 094.5 ათასი ლარი (საკასო ხარჯი - 1 867.3 ათასი ლარი).

საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის და წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა

პერიოდის დავალიანების დასაფარად ვალდებულებების კლების მუხლით გამოყოფილმა გეგმამ შეადგინა - 2 028.8 ათასი ლარი, ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 3 100.2 ათას ლარს, ხოლო მიზნობრივი გრანტის ფარგლებში გაწეული ხარჯი – 1 098.4 ათასი ლარს.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში, წინა წლების დავალიანებების დასაფარავად გაწეულ ხარჯებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში ერთვის დანართის სახით.

„წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა 1 867.3 ათასი ლარი, რაც გატარდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ორგანიზაციულ კოდზე.

2017 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.